ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4734789

ნომერი: AR1713339

თარიღი : 18.10.2019

გაცემის თარიღი : 01.11.2019

გაცნობის თარიღი : 01.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , N 31-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 06/026);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ზერეკიძე პ/ნ 01024034887
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის IV კვარტალი, კორპუსი 10, ბინა 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებითდამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 18 ოქტომბერს AR1713339 განცხადებით მომართა მოქალაქე ქეთევან ზერეკიძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით, №01.10.18.006.026 (1632 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

2017 წლის 8 სექტემბრის N1-1984 მერის ბრძანებით საკადასტრო კოდებისთვის 01.10.18.006.026 და 01.10.18.006.146 გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება და განისაზღვრა კ2 კოეფიციენტი 4,6.

12/03/2018 წელს ბრძანება № 3855508-ით მოხდა 01.10.18.006.026 და 01.10.18.006.146 ნაკვეთების გაერთიანება და შესაბამისი ცვლილება შევიდა სამშენებლოდ გამოყენების პირობებშიც. საკადასტრო ერთეულად დაფიქსირდა 01.10.18.006.186 (1947 კვ.მ).

2018 წლის 31 აგვისტოს 4144074 ბრძანებით, კიდევ შევიდა ცვლილება სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ფუნქციად დაფიქსირდა "მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი";

N 4170239 31/08/2018წ. შეთანხმდა პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა ბრძანება N 4177326 19/09/2018;

ამჟამად ტერიტორიას დაემატა აღმოსავლეთით არსებული მიწის ნაკვეთი 01.10.18.006.248 (383 კვ.მ);

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ შეტანილი იქნა ცვლილება 2017 წლის 8 სექტემბრის N1-1984 მერის ბრძანებაში, დაფიქსირდა ახალი საკადასტრო კოდი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 განისაზღვრა 4.1.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და ს/კ N01.10.18.006.186 და ს/კ N 01.10.18.006.248 მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად ფორმირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის - №01.10.18.006.257 (მიწის ნაკვეთის ფართობი 2330 კვ.მ) დაფიქსირება და კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 4.1-ის დაფიქსირება;

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.18.006.257; მიწის ნაკვეთის ფართობი 2330 კვ.მ და კ2 – 4.1.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 (12/03/2018 – 3855508; 31/08/2018 - 4144074) ბრძანებ(ებ)ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის,

ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;

- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.